

## პროცესი

### **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება № —ივნისი 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახევევისთვის მეან-  
გინეკოლოგის პალიკო კინტრაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, მიხეილ ბუხაიძის I შესახევს მიენიჭოს მეან-გინეკოლოგის პალიკო კინტრაიას ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**გიორგი ტყემალაძე**






საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია  
Georgian Obstetricians-Gynecologists & Perinatologists Association

აბილისი მერაბ კოსტავაძე ქ.38

კელ. 298-73-41

5.10.2023წ



38 Kostavast. Tbilisi; Georgia 0179

Tel.; (+995)298-73-41

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს  
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მოგახსენებთ, რომ 2023 წელს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტს, მრავალი აკადემიის და საზოგადეობის წევრს, წლების მანძილზე აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პალიკო კინტრაიას 90 წელი შეუსრულდებოდა.

პროფესორი პალიკო კინტრაია მთელი ცხოვრება ემსახურა მედიცინის ურთულეს დარგს - დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას და სანიმუშო მაგლითია იმისა, თუ როგორ უნდა მიაღწიო მეცნიერების მწვერვალს დაუდალავი შრომით, დარგის დიდი სიყვარულით და აღზარდო მეან-გინეკოლოგთა თაობები, რითაც საფუძველი ჩაუყარო ქვეყნის უკეთეს მომავალს.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობა მოგმართავთ თხოვნით, თბილისის რომელიმე ქუჩას მიანიჭოთ ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ პალიკო კინტრაიას სახელი.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრები:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მენაობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი კ. მაჭავარაიანი.

ღუდუშუალურის კლინიკის პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელი, თსსუ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი ქ. ქორქოლიანი

ს.ს „ჩაჩავას“ კლინიკის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი, მედიცინის დოქტორი

გ. სიგურგენიანი

## პალიკო კინტრაია

პალიკო კინტრაია -გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მეანობა-გინეკოლოგიის პატრიარქი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მრავალი აკადემიის და საზოგადოების წევრი, წლების მანძილზე აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატოლური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შატონმა პალიკომ თავისი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა მიუძღვნა ქალის, ნაყოფის და ახლშობილის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი პრობლემებია: ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენება მეანობასა და გინეკოლოგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით, ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებათა პათოგენეზის, მათი ადაპტაციის ცენტრალური სარეგულაციო მექანიზმების შესწავლა. ნაყოფი და ტკივილის პრობლემა, გარემო ფაქტორების გავლენა ორსულობის მიმდინარეობაზე და ნაყოფის განვითარებაზე, სტრესი და ორსულობა.

მის მიერ თანაავტორებთან ერთად პირველად შემუშავებულ იქნა მშობიარობის დროს ნაყოფის პირდაპირი ელექტრო-კარდიოგრაფიის მეთოდი (1961წ.). ესიყოსაეტაპოშრომამეანობაში, რადგანმანამდემთელმსოფლიოშინაყოფისფუნქციურმდგომარეობასაფასებდნენო რსულისდამშობიარისმუცლისწინაკედლიდანსტეტოსკოპისსაშუალებითგულისც ემისიხშირისმოსმენით. ამმეთოდისშემუშავებითგაიხსნაგზანაყოფიდანპირდაპირიინფორმაციისმიღების, რასაცშედეგადმოყვაიმსტიტუტისთანამშრომლებისმიერპირდაპირიელექტროენცი ფალოგრაფიისდარეოენცეფალოგრაფიისმეთოდებისშექმნა.

პროფესორ პ. კინტრაიას მიერ, ასევეპირველადშემუშავებულიქნა ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცერებრალური პიკოთერმიის მეთოდი (1968 წ.), რამაცშესაძლებელიგახადაჟანგბადისმწვავეუკმარისობისპირობებშინაყოფისთავის ტვინისგამძლეობისმნიშვნელოვანიგაზრდა.

თანაავტორებთან ერთად დადგენილ იქნა ნაყოფის ძილ-ღვიძილის ბიორიომების არსებობა და მასთან დაკავშირებული ნაყოფის გულის მოქმედების თავისებურებანი (1981 წ.), პირველად შეიქმნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური რუქა, იდენტიფიცირებულ იქნა 15 ნეიროპეპტიდი და დაგინდა, რომ ანტენატალური პერიოდის დასასრულს ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდერგული სისტემა იმყოფება ფუნქციური აქტივობის მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის შეგუებას ახალ პირობებთან. ასევე პირველად

თანაავტორებთან ერთად შესწავლილ იქნა ნაყოფის ნეიროპეპტიდების როლი სამშობიარო მოქმედების აღძვრაში და რეგულაციაში.

მრავალი წელი პროფესორი პ. კინტრაია თანაავტორებთან ერთად სწავლობდა სტრესული სიტუაციების-ბუნებრივი /სტიქიური უბედურებები, მიწისძვრა, წყალდიდობა/ და სოციალური /ომი, უმუშევრობა და სხვა/ გავლენას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ორსულთა ფსიქოემოციურ სტატუსზე. ეს საკითხი შესწავლილი იყო აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდანდევნილებზე, სომებ კოლეგებთან ერთად სპიტაკის მიწისძვრის მაგალითზე, ამერიკელ კოლეგებთან ერთად ლუიზიანის /აშშ/ ქარიშხლის მაგალითზე. დადგენილია „სტრეს-მოლოდინის“ ფენომენი ანუ პოსტტრავმული სტრესული დარღვევები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ორსულობის და მშობიარობის მიმდინარეობაზე, ზრდის მათ პათოლოგიურ მიმდინარეობას, თვითნებით აბორტებს, ნაადრევ მშობიარობას, ოპერაციულ ჩარევებს, მკვდრადშობადობას, მოქმედებს ახალშობილთა ფსიქოემოციურ სტატუსზე, მკვეთრად ზრდის ნეირო-რეფლექსურ აღზნებადობას.

პროფესორ პ. კინტრაიას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა. მათ შორის 14 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 40 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

1980 წლიდან პ. კინტრაია არის საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების (ხოლო შემდგომ მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის) უცვლელი ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით როგორც გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ასევე მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებამ მოიპოვა დიდი საერთაშორისო აღიარება. პ. კინტრაიას ხელმძღვანელობით ინსტიტუტს და ასოციაციას ჰქონდა გრძელვადიანი საერთაშორისო ხელშეკრულება იაპონიის ტოკიოს უნივერსიტეტის, ინგლისის სოუთჰემპტონის უნივერსიტეტის, გერმანიის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის, ბუდაპეშტის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრებთან. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ერთობლივად შესრულებული შრომების შედეგები იხილებოდა შემაჯამებელ საერთაშორისო კონფერენციებზე. 1980-2003 წლებში ჩატარებულია 23 ასეთი კონფერენცია და გამოცემულია 23 შრომათა კრებული საქართველოში, უნგრეთში და იაპონიაში.

ნაყოფიერია პ. კინტრაიას ხანგრძლივი მუშაობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც საქართველოში წელიწადში 150 000 ბავშვი იბადებოდა, დედათა სიკვდილობა 3.5 ჯერ შემცირდა და ეს იყო მთელ საბჭოთა კავშირში სამაგალითო მაჩვენებელი.


დიდია პროფესორ პ. კინტრაიას დამსახურება საქართველოში მეან-გინეკოლოგთა ახალი თაობების აღზრდაში, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკოს ექიმთა მომზადების საქმეში. დღეს საქართველოს ყველა კუთხეში მის მიერ აღზრდილი მეან-გინეკოლოგები უძღვებიან ამ ურთულეს საქმეს.

ბატონ პალიკო კინტრაიას შრომა სათანადოდ დაფასდა: 1983 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1985 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია სამეცნიერო სეფსისის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისათვის. 1998 წელს პროფესორი პ. კინტრაია დაჯილდოებულია ლირსების ორდენით. 1998 წელს არჩეულია უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, 1988წ. ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად და ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის საზღვარგარეთელ წევრად. არჩეულია რამდენიმე საერთაშორისო უურნალის საბჭოს წევრად. 2002 წელს - რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად

სხვადასხვა დროს პ. კინტრაია იყო საბჭოთა კავშირის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს საქართველო საბჭოს წევრი მეანობა-გინეკოლოგიაში. სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო კომისიის წევრი და სხვა.

ბატონმა პალიკო კინტრაიამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნის გამორჩეულ შვილთა შორის. მისი ცხოვრება ლირსეული მაგალითია თუ როგორ უნდა ემსახურო დარგს, მეცნიერებას, თაობების აღზრდას, როგორ უნდა იცხოვო, რომ ჩაუყარო საფუძველი ქვეყნის უკეთეს მომავალს.

ს.ს „ჩაჩავას კლინიკა“  
საქართველოს მეან-გინეკოლოგთა  
და პერინატოლოგთა ასოციაცია



საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და  
პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის  
პროფესორ პალიკო კინტრაიას ცხოვრების გზა

დაიბადა 1933 წლის 8 დეკემბერს ქ. თბილისში

1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი წარჩინებით.

1958-61 წწ. მუშაობდა თიანეთის რაისაავადმყოფოს სამეანო განყოფილების  
გამგედ.

1961-63 წწ. გაიარა კლინიკური ორდინატურის კურსი თბილისის სახ.  
სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე.

1963-66 წწ. მუშაობდა მარნეულის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნაყოფის  
ელექტრო-არდიოგრამის ცვლილებები ვაკუუმექსტრაქტორისა და სამეანო  
მაშების გამოყენებით”.

1971 წელს – სადოქტორო დისერტაცია „ნაყოფის თავის ტეინის ჰიპოთერმია  
მშობიარობის დროს”.

1966-2006 წლიდან მუშაობდა თბილისის ექიმთა დიპლომისშემდგომი  
მომზადების აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე ასისტენტად,  
პროფესორად, კათედრის გამგედ.

1980-2002 წლიდან - კ.ვ.ჩახავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და  
მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კკლუებითი ინსტიტუტის დირექტორად, 2002  
წლიდან დღემდე ინსტიტუტის სამეთალურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

1977-86 წლებში და 1997-2005 წწ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად.

1997-2003 წლიდან თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო  
ხარისხების მიმნიჭებელი სააგესტაციო საბჭოს თავმჯდომარე მეანობა-  
გინეკოლოგიაში.

1998-2005 წ.წ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
სამინისტროს ექიმთა სასერთიფიკაციო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე  
მეანობა-გინეკოლოგიაში.

არის საქართველოს სამედიცინო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ნამდგილი წევრი.

1983 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1985 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია სამეცნიერო გინეკოლოგიური სეფსისის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისათვის.

1998 წელს დაჯილდოებულია ლირსების ორდენით.

1998 წელს არჩეულია უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, 1988წ. ევროპის მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად, 1988წ. ამერიკის მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის საზღვარგარეთელ წევრად. არჩეულია რამდენიმე საერთაშორისო უურნალის საბჭოს წევრად.

2002 წელს - რუსეთის ფედერაციის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად

სხვადასხვა დროს პ. კინტრაია იყო საბჭოთა კავშირის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს საექსპერტო საბჭოს წევრი მეანობა-გინეკოლოგიაში. სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო კომისიის წევრი და სხვა.

სამეცნიერო კვლევის ძირითადი პრობლემებია ფიზიკური და ელექტროფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენება მეანობასა და გინეკოლოგიაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებათა პათოგენეზის შესწავლა. ნაყოფისა და ახალშობილის ადაპტაციის ცენტრალური სარეგულაციო მექანიზმების შესწავლა. ნაყოფი და ტკივილის პრობლემა, გარემო ფაქტორების გავლენა ორსულობის მიმდინარეობაზე და ნაყოფის განვითარებაზე, სტრესი და ორსულობა.

მის მიერ თანაავტორებთან ერთად პირველად შემუშავებულ იქნა მშობიარობის დროს ნაყოფის პირდაპირი ელექტრო-კარდიოგრაფიის მეთოდი (1961 წ.) ეს იყო საეტაპო შრომა მეანობაში, რადგან მანამდე მთელ მსოფლიოში ნაყოფის ფუნქციურ მდგომარეობას აფასებდნენ ორსულის და მშობიარის მუცლის წინა კედლიდან სტეტოსკოპის საშუალებით გულისცემის სიხშირის მოსმენით. ამ მეთოდის შემუშავებით გაიხსნა გზა ნაყოფიდან პირდაპირი ინფორმაციის მიღების, რასაც შედეგად მოყვა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ პირდაპირი ელექტროენცეფალოგრაფიის და რეოენცეფალოგრაფიის მეთოდების შექმნა.

ასევე პირველად შემუშავებულ იქნა ნაყოფისა და ახალშობილის კრანიოცენტრალური პიპოთერმიის მეთოდი (1968 წ.), რამაც შესაძლებელი გახადა ჟანგბადის მწვავე უკმარისობის პირობებში ნაყოფის თავის ტვინის გამძლეობის მნიშვნელოვანი გაზრდა, მაშინ როდესაც ნაყოფის პიპოქსიის

მცურნალობის ყველა მანამდე არსებული მეთოდები იყო უფექტო, ვინაიდან ისინი ეყრდნობოდნენ ნაყოფის ჟანგბადით მომარაგების გაუმჯობესებას პლაცენტარული სისხლის მიმოქცევის გზით, ეს გზა კი როგორც ცნობილია მძიმე ასფიქსიის დროს ფაქტიურად დაკეტილია. ჰიპოთერმია კი შესაძლებლობას იძლევა ნაყოფის თავზე უშუალო ზემოქმედების გზით ჟანგბადზე მოთხოვნილების მნიშვნელოვნად შემცირებისა და ამით იზრდება თავის ტვინის გამძლეობა ჟანგბადის ნაკლებობისადმი. შემუშავებულ იქნა (1961-70წ) მშობიარობის დროს ნაყოფის ფუნქციური მდგომარეობის შეფასების ელექტროფიზიოლოგიური კრიტერიუმები. პირველად პ. კინტრაიას მიერ დადგენილ იქნა, რომ მშობიარობის დროს ნაყოფს გააჩნია ტკივილის შეგრძენების ავტონომიური რეგულაციის უნარი და შემოღებულ იქნა ნაყოფის აუტოპიბერნაციის მცნება. ამით შესაძლებელი გახდა მძიმე მშობიარობის შემდეგ დაბადებულ ახალშობილებში დიფერენციალური დიაგნოზის გატარება ასფიქსიასა და პათოლოგიურ აუტოპიბერნაციას შორის, რომელთა მცურნალობაც მოითხოვს სრულიად განსხვავებულ მიდგომას.


თანაავტორებთან ერთად დადგენილ იქნა ნაყოფის ძილ-ღვიძილის ბიორითმების არსებობა და მასთან დაკავშირებული ნაყოფის გულის მოქმედების თავისებურებანი (1981 წ), პირველად შეიქმნა ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდური რუქა, იდენტიფიცირებულ იქნა 15 ნეირო პეპტიდი და დაგინდა, რომ ანტენატალური პერიოდის დასასრულს ნაყოფის თავის ტვინის პეპტიდერგული სისტემა იმყოფება ფუნქციური აქტივობის მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ნაყოფის შეგუებას ახალ პირობებთან. ასევე პირველად თანაავტორებთან ერთად შესწავლილ იქნა ნაყოფის ნეიროპეპტიდების როლი სამშობიარო მოქმედების აღძერაში და რეგულაციაში.

გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო შრომა. მათ შორის 14 გამოგონება. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია და დაცულია 40 საკანდიდატო და 12 სადოქტორო დისერტაცია.

1980 წლიდან პ. კინტრაია არის საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების (ხოლო შემდგომ მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის) უცელელი ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით როგორც გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ასევე მეან-გინეკოლოგთა საზოგადოებამ მოიპოვა დიდი საერთაშორისო აღიარება. პ. კინტრაიას ხელმძღვანელობით ინსტიტუტს და ასოციაციას პქონდა გრძელვადიანი საერთაშორისო ხელშეკრულება იაპონიის ტოკიოს უნივერსიტეტის, ინგლისის სოუთემპტონის უნივერსიტეტის, გერმანიის პაიდელბერგის უნივერსიტეტის, ბუდაპეშტის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრებთან. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ერთობლივად შესრულებული შრომების შედეგები იხილებოდა შემაჯამებელ საერთაშორისო კონფერენციებზე. 1980-2003 წლებში ჩატარებულია 23 ასეთი კონფერენცია და გამოცემულია 23 შომათა კრებული საქართველოში, უნგრეთში და იაპონიაში.

ასევე ნაყოფიერია პ. კინტრაიას ხანგრძლივი მუშაობა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ მეან-გინეკოლოგად. საქართველოს აღინიშნოს,

რომ მაშინ როდესაც საქართველოში წელიწასში 150 000 ბავშვი იბადებოდა, დედათა სიკვდილობა 3.5 ჯერ უმცირდა და ეს იყო მთელ საბჭოთა კავშირში სამაგალითო მაჩვენებელი. ასევე დიდია პ.კინტრაიას დამსახურება საქართველოში მეან-გინეკოლოგთა როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკოს ექიმთა მომზადებაში და დღეს საქართველოს ყველა კუთხეში მის მიერ აღზრდილი მეან-გინეკოლოგები უძლვებიან ამ ურთულეს საქმეს.



პალიკო კინტრაია

(1933-2019)

პროფესორი, ექიმი, მეან-გინეკოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული  
მოღვაწე

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო  
ფაკულტეტი 1958 წელს.

1958-1961 წლებში იყო თიანეთის მეან-გინეკოლოგი; 1963-1966წწ. მარნეულის  
სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი; 1968-1974წწ. თბილისის ექიმთა დახელოვნების  
ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგის კათედრის ასისტენტი; 1975-1979წწ.  
პროფესორი; 1979 წლიდან არის ამავე კათედრის გამგე, 1980 წლიდან –პერინატალური  
მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის  
დირექტორი; 1977-1986წწ. იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი მეან-  
გინეკოლოგი. ავტორია 190 სამეცნიერო ნაშრომის; გამოქვეყნებული აქვს  
მონოგრაფიები; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 40 საკანდიდატო და 12  
სადოქტორო დისერტაცია.

საკანდიდატო დისერტაციის თემა - „ნაყოფის ელექტროკარდიოგრამის ცვლილებები  
სამეანო მაშების და ვაკუუმ ექსტრაქციის გამოყენების დროს“, დაიცვა 1964 წელს.

სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „ნაყოფის კრანიო-ცერებრალური ჰიპოთემია  
მშობიარობის დროს“, დაიცვა 1970 წელს.

პალიკო კინტრაია იყო აშშ მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის საზღვარგარეთელი წევრი;

იტალიის სამეანო-გინეკოლოგიური ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი;

მონოსპეციალისტთა მომზადების და ექიმთა უფლებების დაცვის რესპუბლიკური ასოციაციის პრეზიდენტი;

პერინატოლოგიასა და მეან-გინეკოლოგიაში სამეცნიერო კვლევების ასოციაციის პრეზიდენტი;

ჟურნალ „ქართული სამედიცინო ჟურნალის“ რედკოლეგიის წევრი

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს საატესტაციო-სასერტიფიკაციო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მეანობა-გინეკოლოგიაში;

უნგრეთის მეან-გინეკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი;

უნგრეთის სამეანო-გინეკოლოგიური ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი;

ხარისხების მიმნიჭებელი საატესტაციო სამეცნიერო საბჭოში თავმჯდომარე მეანობა-გინეკოლოგიის სპეციალობით;

მიჭებული ჰქონდა არაერთი ჯილდო და პრემია, მათ შორის 1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1998 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ასევე 1983 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია.